ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3242093

ნომერი: AR1500281

თარიღი : 02.05.2017

გაცემის თარიღი : 10.05.2017

გაცნობის თარიღი : 10.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინამძღვრიშვილი , N 186 , (ნაკვ.23/9) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ჩიხლაძე პ/ნ 55001004511
- თბილისი ივ.მაჩაბელის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებულ შენობა-ნაგებობაზე ვიტრინის მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - დიდუბე), წინამძღვრიშვილის ქ. N186–ში (ნაკვ. 23/9) შ.პ.ს. "სავაჭრო სახლი იმედი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე ვიტრინის მოწყობის სამუშაოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განხორციელების შესაძლებლობასაც სამსახური ადასტურებს წერილობით.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "სავაჭრო სახლი იმედი"-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა; რეგისტრაციის N 882017142811, 02.03.2017 წ. საკადასტრო კოდი N 01.13.07.023.009; შ.პ.ს. "სავაჭრო სახლი იმედი"-ს დირექტორის ო. კუჭუხიძის 06.07.2016 წლის თანხმობა; შ.პ.ს. "ლეგო 2011"-ს დირექტორის ი. თხელიძის 2017 წლის 10 მარტის გ-238 ცნობა; 01.03.2017 წლის იჯარის ხელშეკრულება; 2017 წლის 1 მარტის მიღება-ჩაბარების აქტი N971 იჯარით გადაცემული არასცხოვრებელ ფართზე; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი - დიდუბე), წინამძღვრიშვილის ქ. N186–ში (ნაკვ. 23/9) შ.პ.ს. "სავაჭრო სახლი იმედი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე ვიტრინის მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge